№ 209
შაბათი, 30 სექტემბერი 1895

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	70
9	8	—	3	3	55
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

ივერია

№ 209
შაბათი, 30 სექტემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რადგან 25-ს სექტემბერს 1895 წელს ამხანაგობის საზოგადო კრებას არ დაესწრო წევრთა კანონიერი რიცხვი, ამისთვის ნაცვლად ამისა დანიშნულია ახალი კრება, საშაბათს, 3 ოქტომბერს 1895 წელს. ეს კრება უეჭველად შესდგება თანახმად პირობის მე-18 მუხლისა. განსახილველი საგნები იგივეა. კრება დანიშნულია სათავად-აზნაურო დარბაზში სღამოს 8 საათზე.

გამგე ამხანაგობისა: ალ. ჯაბადარი.
(3—უ—2)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—1)

ტფილისი, 30 სექტემბერი.

—

ჯერ-ჯერობით დიდი უმეტესობა ქართველ ერისა მიწათ-მფლობელია და მიწათ-მომქმედი. დღეს მიწა შეადგენს ჩვენს განძს და საშუალებას ჩვენის ეკონომიურის კეთილ-დღეობისას. ეს ყველასათვის უტყუარი ფაქტია და ამიტომ ამ ფაქტს გვერდს ვერ ავუხვევთ, ვერ დავივიწყებთ. ვერ დავივიწყებთ აგრეთვე იმ ჭეშმარიტებას, რომ ეკონომიური კეთილდღეობა ქვა-კუთხედია ერის ცხოვრებისა და განვითარებისა. თუ ქვეყანაში არ არსებობს ეკონომიური წარმატება, ეკონომიური განვითარება, მაშინ შეფერხებულია ერის ცხოვრების სხვა მხარეთა განვითარება - წარმატებაც! თუ ეს ასეა, უეჭველია ეკონომიურს განვითარებას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. აქ გარდა პირადის ინტერესისა მოქმედებს აგრეთვე საზოგადო ინტერესი, მთელის ერის სარგებლობა და მოთხოვნილება— მეორეს მხრით გავიხსენოთ, რომ ჩვენში დიდი ხანია ყველა შესჩივის სიღარიბეს, ეკონომიურს დაქვეითებას და სხვა. ცხოვრების ახალმა ხანამ, ახალმა ეკონომიურმა წეს-წყობილებამ დაჰბადა ახალი გარემოებანი. გამწვავდა ერთა შორის ეკონომიური ბრძოლა . მეორეს მხრით, გამრავლდა მოთხოვნილება , გაასკეცდა ხარჯი. ყოველივე ეს ითხოვს ჩვენგან უფრო მეტს ენერგიასა, უფრო მეტს შრომასა და მეცადინეობას, ითხოვს საუკეთესო იარაღს ყოველდღიურ ბრძოლისათვის. ითხოვს-კი, მაგრამ ჩვენ რას ვხედავთ? ვხედავთ იმას, რომ ჩვენი საბრძოლველი იარაღი, ჩვენი ერთად-ერთი განძი და საშუალება ჩვენის წარმატებისა—მიწა—ხელიდგან გვივარდება! ნაცვლად იმისა, რომ ეს იარაღი უფრო გავლესოთ, უფრო გამოვიყენოთ საბრძოლველად, ჩვენის დაუდევრობისა გამო იარაღი ისე დაჟანგდა და დაჩლუნგდა, რომ მისი ხელში დაჭერა სამძიმო და უსარგებლო საქმეთ გარდაიქცა. ამის გამო ეს ჩვენი განძი გადადის სხვის ხელში, იმათ ხელში, ვინც მას უფრო მოიხმარს და უფრო გამოიყენებს!.. ჩვენი ქვეყანა მდიდარია, ჩვენი ბუნება საუცხოვოა, მაგრამ ჩვენ, მცხოვრებნი, ღარიბნი ვართ და ვერ მოგვიხერხებია საჭირო ბრძოლის გაწევა... დასავლეთ საქართველოში ჩამოგვისახლდნენ პოპოვები, სოლოვცოვები და სხვანი; მათ გაუმშვენიერებიათ მინდვრები ჩაისა, თუთუნისა, ძვირფას მცენარეების პლანტაციებით და რაღა საკვირველი იქნება, რომ მიწაც მათ ხელში მოგროვდეს და ჩვენც მათ ყმათ გარდავიქცეთ! აღმოსავლეთ საქართველოში განათლებული უცხოელი ვენახს ეპატრონება და ისიც ხელში ჩაიგდებს ჩვენს მიწას! დრო იცვალა, ბრძოლა გამწვავდა, ჩვენ-კი იარაღს დროის შესაფერისად არ ვლესავთ და ისევ ძველებურად ვხნავთ და ვთესავთ. მაშინ როდესაც სადმე ჰოლანდიაში, სადაც არც ბუნებაა საქართველოს ბუნებისთანა, არც მიწაა ისე ნოყიერი, როგორც ჩვენში, ორი დღიური მიწა აკმაყოფილებს მრავალ ნაირს მოთხოვნილებას და ისტუმრებს დიდს ხარჯს, ჩვენში 50—200 დესიტინის პატრონი ძლივს იკვებავს თავს. ვერც თავადისა, ვერც აზნაურისა, ვერც გლეხის მამულის შემოსავალი ვერ აუდის მოთხოვნილებასა და ხარჯს, არც ერთი არ არის დროს შესაფერად შეიარაღებული და მომზადებული!

ამის გამო ადვილად გასაგებია, რა საჭიროა ჩვენთვის სამეურნეო სწავლა. სამეურნეო სწავლა მოგვცემს საშუალებას გავაუმჯობესოთ სამეურნეო ტეხნიკა, გავაძლიეროთ ჩვენი წარმოებითი ძალა და მით არა მარტო შევირჩინოთ ჩვენი განძი—მიწა, მის საშუალებით შევქნათ ეკონომიური წარმატება ქვეყნისა. ამას კარგა ხანია გრძნობს ჩვენი საზოგადოება და გაიძახის სამეურნეო სწავლის საჭიროებაზე, თვით სათავად·აზნაურო სკოლათა რეფორმაც-კი განიზრახეს!.. ეს საჭიროება ისე დიდია, რომ არავითარს ხარჯს და ძალას არ უნდა ვზოგავდეთ ამგვარ საქმისთვის! დღეს-კი, როდესაც დიდად პატივცემულის თავ. ზაქ. ერისთავის შეწირულებამ და მოღვაწეობამ საქმის თითქმის სამი მეოთხედი გაგვიკეთა, სწორედ დანით ყელის გამოჭრა იქნება დანარჩენ საქმის წინ შევჩერდეთ!? ის გარემოება, რომ საზოგადოება დარწმუნებულია სამეურნეო სწავლის საჭიროებას, თავდებია იმისი, როი ეს დაწყებული საქმე დაგვირგვინდება. ხოლო რაც შეეხება იმ კამათს, თუ როგორი სამეურნეო სწავლა უფრო გვესაჭიროება დღეს—უმაღლესი, საშუალო თუ დაბალი, ჩვენის ფიქრით ეს კამათი სრულიად გამოირკვა როგორც პატივცემულის პ. მორბედაძის წერილით, ისე წინად დასტამბულის წიგნაკით თავ. ი. ანდრონიკაშვილისა და ა. ფირალოვისა „О типѣ сельскохозяйственной школы для Тифлисской губерніи“ კარგი იქნებოდა უმაღლესი სასწავლებელი დაგვეარსებია, მაგრამ ამაზედ ფიქრიც მეტია: ამას ძლიერ დიდი ხარჯიც უნდა, დიდის ხნის

ფელეტონი

შვილს

(დედის პასუხი).

ეჰ, ჩემო შვილო, რად მინდა
მე შენი დარიგებანი,—
ცრემლთა ღვრა არის ტანჯულთა
სიხარული და შვებანი.

—

ჩემი ცხოვრება განვლიე
არსებობისა ბრძოლაში,
აწ მოხუცებულს რა მარგეთ
ამ დაუღალავ შრომაში!

—

მეგონა, დამეზრდებოდით,
ჭირს შემიცვლიდით ლხინადა,
შარავანდედსა მომფენდით,
შეიქნებოდით გმირადა...

—

მაგრამ მოვტყუვდი: გამწირეთ,
გამცვალეთ ოქროს ფულზედა,
ტყვედა მიმეცით უცხოსა,
წყლული დამრთევით წყლულზედა

—

და ეხლა ამბობთ: ,,დედაო,
ნუ გაგტეხია გულია,
ნუ სტირი, ალსდექ, გასწორდი,
ვით ედემს ალვა რგულია!..‘‘

—

არა, არ მინდა, ჰე, შვილო,
მე შენი დარიგებანი,
თუ-კი არ ძალ-გიძს სხვა ფერად
შენ ჩემი გახარებანი....

დ. ნინოწმინდელი.

1895 წ., 20 ენკენისთვე.

◆

საბრალო დარეჯანი.

სურათი სოფლის ცხოვრებიდგან.

დასასრული *)

V

დილა კარგა ყოფნისა, დარეჯან! ამ სიტყვებით შემოაღო კარი დარეჯანის სვინამ, ქადაგაანთ ტასიამ და რომ ვერ გაარჩია ვისაც მიესალმა, შუბლზედ ხელ-აფერებული აქეთ-იქით იცქირებოდა. ბოლოს მოჰკრა თვალი ტახტის კუთხეში ლეიბზედ საცოდავად მოკუნტულს დარეჯანს და მეტად გაიოცა.

—ქალო, რა დაგმართვია, რას მიმჯდარხარ ამ მშვენიერს დღეს მაგ კუთხეში, ცხრა-თვალი მზე გრიალებს გარეთ?

— იჰ, ჩემო ნათლი, წამოიწია რამდენადაც შეეძლო ღონე-მიხდილს დარეჯანს, ჩემთვის დიდი ხანია აღარც ცხრა-თვალი მზეა და აღარც მთვარე. შენი შვილების დამაწყევარი იყოს ასე გულ-დახურული, როგორც დარეჯანის გულია. ეჰ, წავიდა ჩემი საქმე, მე აღარა გამომაბრუნებს-რა.

— რა ვქნა, რაებს ამბობ, ადამიანო, შენ სამაგისო რა გიჭირს? თუმცა კაი ხანი კია არ მინახავხარ, მაგრამ გუშინ ჩვენებიანთ სალომესთან გადმოვიარე, ხახვის თესლი მინდოდა მეთხოვნა პატარა და იმან მითხრა, რომ საწყალი ჩვენი დარეჯანი ლოგინად ჩავარდაო. დღეს აღარც მიცხელებია, აღარც მიცივებია, ავდექი და წამოვედი, ერთი ვნახო, ამ საღი-სალამათს დედა-კაცს რა გამოუტყვრა მეთქი ასე ანაზდეულად. გაჭირვება-კი ღმერთმა გაშოროს და შენი ქმარ-შვილი დაიფაროს, მაგითი გული ნუ გაგიტყდება, მაგრამ მაინც მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რა არის შენს თავს, რა დაგემართა?

— იჰ რა ვიცი, შენ გენაცვალე, საიდგან რა დამემართა, ეს-კი ვიცი, რომ შარშანდელს აქეთ რაღაცა გულის-ფრიალი დამჩემდა. ისეთნაირად ამიკანკალდება გული თითქოს არის გადმოვარდნას აპირებსო. ჯერ ასე კარგა ხანს გამტანს, მერე უცებ შემახურებს თითქო სიცხე მომცაო და გამხდის უმადოთ, რომ ორი დღე გავა გემო ვერას ჩავატანო. რამდენი რამ ვიწამლე, მტრედის გული მე არ ჩამაყლაპეს, შელოცვით მე არ შემილოცეს, მაგრამ არსაიდგან არ იქნა ჩემი შველა. ხან ისე კარგად გავხდები თითქო სულაც არა მტკივარაო, მაგრამ დიდხანს-კი არ გასტანს ხოლმე ესა. მერე ისევ ჩავვარდები ჩემი ავადმყოფობის ქერქში და შევიქნები ავად ასე საცოდავად. ნათლი, გული მაქვს მეტად დახშული, აღარაფერი ჩემს გულს აღარ ახარებს, აღარც გასვლა მინდა სადმე, აღარც ნახვა ვისიმე; ჩემი ქმარ-შვილი რა არის, იმათი ხმაურობაც-კი გულს მიხუთავს ხოლმე. ვაიმე შვილებო, რა უდროვოდ უნდა მოგშორდეთ!

დარეჯანს ამოუჯდა გული და შექნა ტირილი საცოდავად.

— რა ვქნა და რაზედ მოგივიდა, ქალო, ეგა? იქნება მიზეზი გაქვს და არ იცი. მაგაზედ ადვილი რა არის, ჩამოვასხათ ფთილები, ან ჯამი დავატრიალოთ და შევიტყოთ რომელი წმინდანის მიზეზი გაქვს. ვენაცვალე იმის მადლსა და სახელს, ის შეიბრალებს შენს უთუთქს შვილებსა და კარგად გაგხდის. მე ეჭვიც არა მაქვს რომ სწორედ მიზეზია შენს თავსა. მაგ ნაირი გულის-ღონება სწორედ იმან იცის.

დარეჯანი თან სტიროდა და თან თავს იქნევდა იმის ნიშნად, რომ არა, ჩემო ნათლი, მიზეზი ხატისა არა მაქვს მე, ვიცი რის შედეგიც არის ჩემი ავადმყოფობაო, მაგრამ რას ვუშველიო. დარეჯანი, მართლა რომ იმ უბედური ღამის შემდეგ, თითქო არ იყოს, რომ ვერა გრძნობდა თავს კარგად, მაგრამ ყურს არ ათხოვებდა, ოჯახობის საქმეში იყო გართული და აბა სადა აქვს დრო ღარიბ ადამიანს ყოველ ფრჩხილის წამოტკივებაზედ ლოგინში ჩაწვეს. ბევრი ითმინა დარეჯანმა, ეცადა გულიდგან გადაყრას, მაგრამ უღონოობა თანდა-თან მოერია და აი დღეს იქამდინ მიიყვანა, რომ იმისთანა მშვენიერს დღეს, როდესაც ქვეყანა გარეთ იყო, ის მიკრუნჩხულიყო ლეიბზედ ნოტიო ოთახში და ცრემლით იღვრებოდა.

კარგად იცოდა დარეჯანმა, რომ ამისი მიზეზი ის მოულოდნელი შიში იყო, როდესაც ქმარი, თვალებში სისხლ-მორეული კეტით დაადგა თავს და სიკვდილს უპირებდა. ახსოვს, რომ მაშინ პირველ ხანს მეტის-მეტად შეეშინდა, გული გადმოუბრუნდა და აი სწორედ იმას აწერდა თავისს ეხლანდელს უბედურებას.

მაგრამ, აბა ვის ეტყოდა ამას, ვის გამოუტყდებოდა ამ საიდუმლოში? ამითი ხომ ჩემს ქმარს თავზედ ლაფს დავასხამ, ქვეყანა ჩაჰქოლავს და მტერიც გაიხარებსო, ჰფიქრობდა დარეჯანი. დაე, ისევ მე ვიტანჯო, ალბად ღვთის ნება იქნება რაც მომივაო. ეს დაფარვა გულის ვარამისა, რასაკვირველია უორკეცებდა დარეჯანს სნეულებას, მაგრამ ერთხელვე მტკიცედ გარდასწყვიტა საიდუმლოდ შენახვა იმ ამბისა და აასრულა კიდეც. ასე, რომ ბევრს ეკითხებოდა ტასია მიზეზს დარეჯანის ზერე-ქვერე ავადმყოფობისას, მაგრამ რომ ვერა შეიტყო-რა, ტასიამ გარდასწყვიტა, რომ ამ საქმეს დაგვიანება აღარ უნდაო. დარეჯანი სულ მარტო მიეტოვებინათ პატარა შვილებს და ქმარი სამუშავოთ იყო წასული, ფთილების დასხმას ან ჯამის დატრიალებას-კი დახმარემა უნდოდა და ამიტომ ტასიაც გავიდა საჩქაროდ გარედ მეზობლის ქალის დასაძახებლად. ბევრი უშალა დარეჯანმა, არაფრის მიზეზი არა მაქვსო, ნუ სწუხდები ტყუილადაო, მაგრამ ვილა იყო იმისი მისუსტებული ლაპარაკის გამგონი. ტასია მოვალეთა სთვლიდა თავისს-თავს დახმარებოდა ავადმყოფს ნათლი-დედას, რადგან სრული დარწმუნებული იყო, რომ მიზეზი ჰქონდა და მალეც მოარჩენდა სნეულებიდგან, არ გასულა ხუთი წამი, რომ ოთხი-ხუთი ქალი შემოვიდა ერთად დარეჯანთან. როგორც-კი გაეგოთ დარეჯანს მოჰმატებია ავადმყოფობაო, ერთმანეთისთვის აღარ დაუცდიათ რძლებსა, საჩქაროდ გამოჰყოლოდნენ ტასიას.

— აბა, გენაცვალე, დარეჯან, ბამბა თუ გაქვს, მითხარი სად არის, ამოვიღო, უთხრა ტასიამ.

— სკივრში ნახე, ნათლი, თუ-და დააყენეს ჩემმა გოგოებმა, მთელი

---

*) იხ. „ივერია“ № 208.

მზადებაც, მეორეს მხრით რუსეთში არსებულთ ამგვარს სასწავლებელთაც შეუძლიანთ ჩვენც გვემსახურონ ჯეროვანად. ხოლო ჩვენს შუათანა და მცირე მემამულეთათვის უფრო გამოსადეგი და უფრო საჭირო საშუალო სამეურნეო სასწავლებელი იქმნება, რომელიც თეორიითაც და პრაქტიკულ გამოცდილებითაც გაამდიდრებს მოზარდ თაობას და მისცემს მას საშუალებას რეალურად გამოიყენოს მიღებული სწავლა-გამოცდილება! რაც შეეხება დაბალ სამეურნეო სასწავლებელთ, მათ შესახებ ითქმის, რომ ისინი ამზადებენ კარგ მუშათ, ზედამხედველთ და არა ნამდვილ მეურნეთ.

არ უნდა ვივიწყებდეთ კიდევ ერთ გარემოებას: ჩვენს დაბა-სოფლებში რჩება უსწავლელად მრავალი ახალგაზდობა, ბევრიც ბრუნდება ქალაქებიდგან, რადგანაც ვერ შესძლო რომელიმე სასწავლებლის დასრულება. საჭიროა ამ დარჩენილს ახალგაზდობას მიეცეს სპეციალური განათლება, რათა მას შეეძლოს სოფლისთვის საგრძნობელის სარგებლობის მოტანა...

ამ ჟამად საშუალო-სამეურნეო სწავლის საჭიროების შესახებ მარტო ჩვენში-კი არ ლაპარაკობენ, რუსეთშიაც ძლიერ მეცადინეობენ მის გაძლიერებისთვის. ეხლახან სამიწათმოქმედო სამინისტროში მოხდა კრება, რომელმაც გამოიკვლია ეს საგანი და დაადგინა უთუოდ მიღებულ იქმნას საჭირო ღონისძიება საშუალო სამეურნეო სწავლის შემოღებისა და გაძლიერებისათვის..

რა-კი ჩვენი საზოგადოებაც დარწმუნებულია დღეს ამ საჭიროებაში და რა-კი თავ. ზაქარია ერისთვის უხვმა შეწირულებამ, რა-კი მისმა და მის თანაშემწეთა მეცადინეობამ საქმე ასე თვალსაჩინოდ წასწიეს წინ, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საშვილიშვილო განზრახვა მალე განხორცილებულ დ დაგვირგვინებულ იქნება.

ლალი.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებასა და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს შუა მოლაპარაკებაა იმის შესახებ, რომ ტფილისის ბანკმა იქონიოს ქუთაისის საკრედიტო საზოგადოებაში მიმდინარე ანგარიში და რომ ქუთაისის კრედიტის საზოგადოებას ნება მიეცეს მიიღოს ქუთათურ მსესხებელთაგან ის სავალდო გარდასახადი, რომელიც მათ ტფილისის ბანკისა მართებთ. თუ ეს განზრახვა განხორციელებულ იქმნა, ქუთაისის მსესხებელთ საგრძნობელი შეღავათი მიეცემათ.

⁂ ქუთაისის დეპუტაცია, რომლის შესახებაც გუშინ შევატყობინეთ მკითხველთ, 28 სექტემბერს წარუდგა ტფილისის სასამართლო პალატის უფროს თავმჯდომარეს და აუხსნა, რამდენად მოუხერხებელი და მავნებელი იქნება ჰუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთათვის სასამართლო დაწესებულებათა შენობის აგება ქალაქის განაპირაზედ. ბ. თავმჯდომარემ მოიწონა დეპუტაციის წინადადება და თქვა, რომ წარუდგენს სამინისტროს დეპუტაციის მოსაზრებას განზრახულ შენობის ქალაქის შუაგულ ადგილას აგების შესახებ; ხოლო შეიწყნარებს თუ არა სამინისტრო წინადადებას, ეს დამოკიდებულია ხარჯის რაოდენობაზედ და ამიტომ ქუთაისის გამგეობამ უნდა ეცადოსო, რომ შუა ქალაქში არჩეული ადგილი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად შეიძინოს ხაზინამაო.

⁂ ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ ყოვლად-უსამღვდელოესი გაბრიელი კიდევ ავად არისო. როგორც ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, საჯაროდ იუბილეს გამართვის ნება-რთვა ვერ მიიღო ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობამ, მხოლოდ 35 წლ. სამსახურის შესრულების გამო მართებლობამ ნება დართო თვით-მმართველობას, კრებულით, ე. ი. ყველა ხმოსნებმა და ქალაქის გამგეობამ მიულოცოს ყოვლად-სამღვდელოს. ამას გარდა ქუთაისში აპირებენ ხელის-მოწერით თანხის შეგროვებას ეპისკოპოს გაბრიელის სახელზედ სტიპენდიების დასაარსებლად.

⁂ შემდეგი ქართული წარმოდგენა დანიშნულია ოთხშაბათისათვის. წარმოადგენენ დრამას „იაკობელებს“ ფ. კოპპესასა, პ. ი. ყიფიანის თარგმანს. ეს პიესა პირველად წარმოდგენილია პარისის თეატრში «ოდეონში» ამ რვა წლის წინად. დრამა ძალიან მოწონებულია საფრანგეთის საუკეთესო კრიტიკოსებისაგან თავისს მძლავრ შინაარსით და ნამდვილ პატრიოტულ სცენებით.

⁂ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა რუსეთის ცნობილი პოეტი და ქართველ პოეტთა ნაწარმოების მთარგმნელი ვ. ლ. ველიჩკო. როგორც მოსკოვიდგან გვწერენ, ბ. ველიჩკოს ჰსურს ერთი თვე დაჰყოს საქართველოში და გაიცნოს ჩვენი მხარე.

⁂ „ნოვ. ობოზ.“-ს სიტყვით, ამ დღეებში უნდა დამტკიცდეს წესდება „ბელგიელთა და რუსთა საზოგადოებისა“, რომელსაც საგნად აქვს შეიძინოს და ამუშავოს ბ. ნოვოსელსკის ქვა-ნახშირის მადნები. მადნებს ყიდულობენ 2 მილიონ 700 ათას მანეთად.

⁂ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი მ. ი. შალიკოვი ტფილისში ჩამოვიდა.

⁂ სოფელ საგარეჯოში ჰსურთ დააარსონ ორ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი. ერთად-ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც აქ არსებობს, ვერ აკმაყოფილებს ამ ვეებერთელა სოფლის ახალგაზდების სწავლა-განათლების წყურვილს. დიდი ხანია თურმე საგარეჯოელებს ჰსურდათ ეთხოვათ მთავრობისათვის სხვა რომელიმე სასწავლებელი დაარსებულიყო იმათ სოფელში, მაგრამ დღემდის ვერ მოეხერხებინათ. დღეს-კი საგარეჯოს ექიმს ბ. იაშვილსა და ამავე სოფლის მცხოვრებს ს. ქურდოვანიშვილს უთხოვნიათ ექსარხოსისათვის, რათა უწმიდესის სინოდისაგან გადადებულ ფულით აშენებულ იქმნას ხსენებული სასწავლებელი; ექსარხოსს პირობა აღუთქვამს და იმედია ახლო მომავალში განხორციელებული იქმნება.

ამავე სოფელში ჰსურთ დააარსონ აგრეთვე ქალების სასწავლებელი, რადგან ამ კუთხეში არსად არ არსებობს სასწავლებელი კერძოდ ქალებისათვის. საჭირო ფულს უკვე ჰკრებენ.

⁂ პატარძეული: ჩვენს სოფელსაც ეტყობა გამოღვიძება და წინ მსვლელობის ნიშნები. ამ ბოლო დროს განვიზრახეთ ერთი ბიბლიოთეკა ჩვენც დავიარსოთ. სოფელი, რომლის მცხოვრებნი ხუთას კომლს აღემატებიან, რასაკვირველია, დიდი ხანია საჭიროებს ბიბლიოთეკას, მაგრამ არ იქნა მოთავე არავინ გამოგვიჩნდა და ეს კეთილი საქმე აუსრულებელი რჩებოდა; ეხლა-კი ზოგიერთებმა და უმეტეს ქალებმა, ენერგიულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და იწყეს ფულისა და წიგნების კრება. იმედია დახმარებას არავინ დაიშურებს და როგორც აქაურნი ისე სხვა მხრელნი ფულით თუ წიგნებით შემწეობას აღმოუჩენენ ამ საქმეს.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ „მცირე შენიშვნაში“ მოხსენებულია, ვითომ კავთიხევის მასწავლებელი იოსებ ცხვედაძე სამსახურიდგან დაუთხოვ-

---

დღე ხელს ურევენ, ვინ არის ხმის გამცემი და დამშლელი, კვნესით უთხრა დარეჯანმა.

მივიდა ტასია სკივრთან, ახადა, მიურ-მოურია ხელი და სადღაც კუთხეში იპოვნა პატარა ნაგლეჯი ბამბისა. შემდეგ გამოსძებნეს სარკე, ისიც სადღაც მივარდნილი ბავშვებისაგან, გადმოიღეს თაროდგან ჯამი, გამოაძრეს რამდენი ხნის დაწყებული წინდიდგან წინდის ჩხირი, და ჩამოასხა ტასიამ ფთილები. გაათავა ჩამოსხმა და ჯერ ერთი აიღო ხელში და მოჰყვა შეკვეთას:

— მთა-წმიდის მადლო და ძალო, იჩინე შენი ძალა, შენს სახელს ვენაცვალე და მიეც შვაბა ამის ჯანსა და ღონეს! სთქვა ესა და შემოახვია ორ-ტოტათ ერთი ფთილა წინდის-ჩხირსა. შემდეგ—მიჰმირთა ფერიცვალების ეკკლესიის მადლსა და ძალსა, მერე ჩამოსთვალა დარეჯანის სამშობლოს წმიდანები და ბოლოს სარკის წმიდა გიორგიც ჩაუსახელა. შეახვია ყველა ფთილები, დაალაგა წყობისად წყლით სავსე ჯამზედ და დააფარა ზედ სარკე. ქალები გარს შემოხვევოდნენ დარეჯანის წინ დადგმულს ჯამს და ყველანი ერთბაშად სასოებით იწერდნენ პირ-ჯვარს და ავედრებდნენ წმიდანებს დარეჯანის თავსა. გავიდა ხუთს წამამდინ რა დროსაც ყველანი სულ-განაბულები ისხდნენ სასწაულის მოლოდინში. შემდეგ აჰხადა სარკე ტასიამ და აიღო ჯერ მთა-წმიდის ფთილა. მოჰკიდა თითები ორივე წვერს, გადმოშალა ნელ-ნელა, მაგრამ ფთილა ზედვე დარჩა ჩამოკიდებული. აღმოჩნდა, რომ მთა-წმიდის ეკკლესია არასა სთხოვდა დარეჯანს. შემდეგ, ამ ნაირად გადმოშალა დანარჩენიც, მაგრამ არც ის წმიდანები იყვნენ დარეჯანზედ განრისხებულნი. ბოლოს აიღო უკანასკნელი, სარკის წმიდა გიორგის ფთილა და როგორც გადმოუშალა ტოტები, მაშინათვე გადმოეხსნა წინდის-ჩხირიდგან. შეექნათ სიხარული და ჟრიამული ქალებს ზოგი დარეჯანს ულოცავდა, ზოგი თვალებს აპყრობდა მაღლა და უხდიდა მადლობას ზეციერს მამას; ტასია-კი ამაყად, რასაკვირველია, თან ლოცვით, აგროვებდა ერთად ფთილებს და ამზადებდა დარეჯანის თავზედ შემოსავლებად. აალა სახლის კუთხეში დასვენებულს ხატს წყვილი ჯერ ისევ წარსული აღდგომის სანთლები და შემოავლო თავს დარეჯანს.

— აბა, გენაცვალე, დარეჯან, შეევედრე შენ თითონ, შეუთქვი, როდის შეგიძლიან მისვლა იმის წმიდა კარს და რა ზვარაკს მიართმევ, ვენაცვალე იმის დიდებასა.

დარეჯანმა გადიწერა პირჯვარი და თვალებში ცრემლებ-მორეულმა აღუთქვა წასვლა მაისში, თან აღუთქვა კარგი ცხვარი ზვარაკად და თეთრი კაბის ჩაცმა იმ დღემდინს ვიდრე სალოცავად მივიდოდა და იმის კარზედ გაიხდიდა. ტასიამ მიიტანა წყვილი სანთელი და დაალაგა ისევ იმ ხატთან; ყველამ გული დაიმშვიდა, ეჭვი აღარ იყო, რომ დარეჯანის ავადმყოფობის მიზეზი ხატი იყო და აი იმ ხატმაც თავი იჩინა: ამას იქით თქმა აღარ უნდა დარეჯანი ჯერ უკეთ შეიქნება და როდესაც სალოცავიდგან დაბრუნდება —სრულებითაც მორჩება. დარეჯანზედაც გავლენა იქონია სარწმუნოებრივმა გრძნობამ, ხატს ბევრი რამ შეუძლიან, იქნება მართლა მეშველოს ღმერთმა. ამასობაში ძილი მოერია საცოდავს ქალს და მოჰყვა თვალების ლულვას.

— აი, გენაცვალე, დარეჯან, რა მალე იჩინა თავი იმის მადლმა და ძალმა, ნახე როგორ დაგამშვიდა, ძილის მორევა ძალიან კარგი ნიშანია. ქალები ფეხ-აკრებით გალაგდნენ გარეთ და ტასია-კი მოუჯდა გვერდით დარეჯანს. იმან გარდასწყვიტა, რომ უთუოდ მოუცდიდა სანოს მოსვლას. მარტო არ დასტოვებდა ავადმყოფს ნათლი-დედას. კარგა ხანს ეძინა დასუსტებულს დარეჯანს, მშვიდი ძილი ჰქონდა, კაი ხანია საბრალოს ასე ტკბილად არ დასძინებია. ტასია დასცქეროდა დარეჯანს და თან-და-თან რაც უფრო აკვირდებოდა, უფრო მეტად აოცებდა მას იმისი მილეული პირის-სახე.

სიყმაწვილეში საკმაოდ ლამაზი დარეჯანი ეხლაც-კი არ იყო ურიგო, ასე გამხდარი, მიმკრთალებული სახითაც. აშკარად ამოიკითხავდა კაცი იმის მძინარე პირის-სახეზედ, თუ რა ნაღველი აწვა მას გულზედ, ჯერ ოც-და-თხუთმეტის წლისა არ იყო და გრძნობდა-კი, რომ უდროოდ ეთხოვებოდა წუთი სოფელს, საყვარელს ქმარ-შვილს. იცოდა ვისი მიზეზით მოსდიოდა ესა, მაგრამ სათნოება და სიყვარული სძლევდა იმის გულს და მოთმენით იყო.

მინამ დარეჯანს ეძინა, სანოც დაბრუნდა. რომ შემოვიდა სახლში და დაინახა ცოლი იმ მდგომარეობაში, გული გადმოუბრუნდა საწყალ კაცს. წარმოიდგინა, ვაი თუ ჩემს ცოლს სულიც ჰხდება და მე-კი მხოლოდ შემთხვევით მოვედიო.

კაი ხანია, რაც სანოც ატყობდა, რომ დარეჯანი აღარ ჰყავდა თავის ჯანზედ მაგრამ თითქო რაღაცა აგრძნობინებდა, რომ მიზეზად ცოლის ავად-მყოფობისა თითონ ის იყო და ვერც-კი ჰბედავდა ხეირიანად დალაპარაკებას ამ საგანზედ. ერთს-კი შეეკითხებოდა დარეჯანს, როცა ის უღონოდ შეიქნებოდა: რა დაგემართაო და ამითი მოსჭრიდა ხოლმე კითხვას. გული უკვდებოდა, სვინიდისი სტანჯავდა, რომ შეჰყურებდა იმის დღითი-დღე სანთელივით დადნობასა და კი არ იცოდა საიდგან რა ეშველნა. გლეხკაცის ფარი და ხმალი ხომ ის არის, რომ ღმერთმა უკეთ იცის, რასაც დამართებს თავის გაჩენილსო. იმ მოძღვრებას როდი მისდევს, რომ „ღმერთის იმედი გქონდეს, მაგრამ შენც ხელებს ნუ დაიკრებო;“ სანოც იყო ღმერთზედ მინდობილი, მაგრამ ეხლა-კი აშკარად ატყობდა, რომ დარეჯანი თან-და-თან უკან მიდიოდა და გამობრუნება-კი არ ეტყობოდა. ამ ბოლო დროს თითქო ხველებამაც მოუმატა.

სანო მივიდა და მიესალმა ტასიას ჩუმის ლაპარაკით. ის იყო უნდა ეკითხნა, ეს რა ამბავია ჩემს თავსაო, რომ დარეჯანმაც თვალი გაახილა. რომ დაინახა ქმარი მოსული, თითქო უნდა რომ უჩვენოს, ნუ გეშინიან, კარგად ვარო, უთხრა:

— სანო, ერთი ცივი წყალი მომაწოდე; ისე კარგად მეძინა, რომ მეტი არ შეიძლება, კაი ხანია ასე ტკბილად არ დამძინებია.

— ვენაცვალე იმის მადლსა და ძალსა, ეგ იმან გიყო, რომ აღუთქვი იმის კარს ხლება, უთხრა ტასიამ.

აქ ტასიამ გადასცა ამ სიტყვებზედ გაკვირვებულს სანოს, თუ როგორ გამოუვიდა მიზეზი სარკის წმიდა გიორგისა და როგორ შეუთქვეს მისვლა იმის ეკკლესიაზედ. სანოს თითქოს რაღაცა ლოდი მოეშვა გულზედ. იფიქრა, იქნება ღმერთმა ინებოს და მიზეზი სულ სხვა გამოვიდეს მართლა იმის ავადმყოფობაშიო. ცხვრის შეწირვას რას ინაღვლიდა, ოღონდ-კი დარეჯანი მორჩენოდა და თავი და თავი—ეს განთავისუფლებულიყო იმ სატანჯველ ფიქრებისგან, რომ ჩემის ხელით მოვკალ ჩემი ცოლიო. გადიწერა პირჯვარი, მხურვალედ შეევედრა ღმერთს და იმანაც განიმეორა ცოლის აღთქმა, რომ როგორც-კი დადგება მაისი, უეჭველად წაიყვანდა სალოცავად...

VI

ვნების კვირის ოთხშაბათია. დღევანდელ დღეს ჭიაკოკონობას ეძახიან საქართველოში. მთელი სოფელი განათებულია ყველას სახლის წინ გაჩაღებული ჭიაკოკონებით. რა სიხარულით ურბენენ გარს სოფლის ბავშვები და რა წიოკობით და ჟივილხივილით ახტებიან ზედ აპრიალებულ ცეცხლსა!

აგერა, ერთი გლეხ-კაცის სახლის წინ, ბავშვების ჟივილ-ხივილზედ ეშხზედ მოსულმა ვაჟკაცმა გაიხსენა თავისი სიყმაწვილე, ველარ მოითმინა და გადაეშვა ცეცხლზედ. პატარების საერთო სიხარულსა, სიცილსა და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

ერთის სახლიდგან მოარბევინებენ საცერს და გაიძახიან:

— ბიჭო, მოდი, მოდი გავიხედოთ ამ საცერში, რაც ქვეყანაზედ კუდიანი ადამიანია, რომელთაც ეშმაკებთანა აქვთ საუბარი, სულ ამ საცერში გამოჩნდებიან! აი, ჩვენებიანთ ბებერი თათელა რომ აღარა კვდება, აკი ჩვენები კუდიანს ეძახიან; აბა

ნიათ, მაგრამ ხსენებული მასწავლებელი დათხოვნილი-კი არა ყოფილა, არამედ თითონ ანებებს თავს ზოგიერთ მიზეზების გამო.

◆

კორესპონდენცია.

სტამბოლი. გუშინ-წინ, 19 სექტემბერს, აქ აჯანყება მოხდა. სტამბოლის ერთს ნაწილში, საცა მეტი სომხობა სახლობს და საცა მათი აქაური საპატრიარქო არის სტამბულში*).

საათის ათზედ აქაურ სამინისტროში (ბაბუალი) რამდენიმე სუფთად ჩაცმული სომხები მივიდნენ არზით ხელში დიდ ვეზირთან, ვითომდა თხოვნა გვაქვს მისაცემიო; ვეზირმა არ მიიღო, ამათ-კი ძალით მოინდომეს შესვლა. მაშინ ვეზირის ადიუტანტმა (იავერ) იძრო ხმალი და ერთს იმათგანს, რომელიც ყველაზედ წინ იყო, დაჰკრა და იქვე ჩააწვინა. ამ დროს გავარდა რევოლვერი სომხების მხრით და ადიუტანტი იქვე წაიქცა. ამას მოჰყვა ორივე მხრით ჩხუბი და მოხდა საზარელი შეტაკება, მთელი სტამბოლი ფეხზედ დადგა, სომხები აჯანყდნენ საერთოდ.

ამგვარი არზა პოლიციის მინისტრ ნაზიმ-ფაშისთვისაც უნდოდათ მიეცათ, მხოლოდ ის არ დახვდათ სამინისტროში. უკან დაბრუნებულები (სომხები) შეხვდნენ ნაზიმ-ფაშას მომავალს კარეტით; უცებ ეტაკნენ, კარეტა გააჩერეს და ფაშა დასჭრეს. ახლა-კი იგრიალა ჯარმა და შეიქმნა ჩახა-ჩუხი შუაგულ ქალაქში. ეს მოხდა ერთსა და იმავე საათში, როგორც დიდს სამინისტროში, ბაბუალში, ისე პოლიციის მინისტრთან. ამ დროსვე მოხდა რამდენიმე შეტაკება სხვა ადგილებშიაც კიდევ ამ ერთ ნაწილში სტამბოლისა. თითქმის ყოველ განყოფილებაში აირია ხალხი ისე, როგორც მიწის ძვრის დროს; ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა. გამოიყვანეს დიდძალი ჯარი და სამის საათის განმავლობაში ხელ-ჩარეული ბრძოლა ასტყდა რამდენიმე ადგილას. რამდენიმე ჯარის კაციც მოკვდა და სომხები-კი კაიძალი დაწყდა, მხოლოდ ჯერ კიდევ რაოდენობა არავინ იცის. დაჭერით-კი ათას კაცამდის მეტი იქნება დაჭერილი. მოკლული სომხები, რომელიც ხალხის თვალის წინ მოიკლა, იქნება უმეტეს ორმოც-და-ათისა.

საშინელი ბრძოლა შესძლებია თავზედ ხელ-აღებულ კაცს; სომხები ისე ძლიერად იბრძოდნენ, რომ ხალხი განცვიფრებულია „ეს მშვიდი და ვაჭარი ხალხი რას სჩადისო“, იძახიან. იმ წერტილამდის იბრძოდნენ სომხები, რომ რამდენიმე პოლიციელი ვერ იჭერდა ერთს მარტო დანიანს ან კეტიანს სომეხს, საშინლად ძალდებოდნენ. პოლიციელები და ჯარისკაცები, რა ველარ იჭერდნენ, იქვე სუნგით (თოფის შუბით) და ხმლით ჰკლავდნენ და ისე მიჰქონდათ. საზარელი სისხლი ადუღდა მთელს ამ ერთს ნაწილში სტამბოლში...

დუქნები დ მაღაზიები დაიკეტა. საკმარისი იყო, თუ შეატყობდნენ, რომ სომეხიაო, მაშინვე სტაცებდნენ ხელს, ბევრი სხვაგვარებიც დაიჭირეს. ერთს ბერძენს თავი გაუტეხეს კიდეც. სტამბოლისკენ წასვლა საშიში გახდა. ვისაც დიდ ცხვირას და მუცლიანს დაინახავდენ, მაშინვე იჭერდნენ და თუ არ წაჰყვებოდათ, ჰკლავდნენ. საშინელება იყო, ხალხი შიშის ზარმა მოიცვა. ხმა დადის ქრისტიანთა ხოცვის დრო მოვიდაო. საზოგადოდ თათრები საშინლად აღელვებულები არიან, ორი სათის განმავლობაში ერთმა ქართველმა მედანემ ხუთი თუმნის დანები გაყიდა, (თითო დანა 5 შაურზედ მეტი არც-კი ღირს) და ნებს საზოგადოდ თათრები ყიდულობენ. ყველა, ვინც დანის საყიდლათ მიდიოდა, ასე ამბობდა: „ჩქარა დანა მოიტა, სომხები უნდა დავკლათ“.

ყოველ უბანში, საცა სომხები სცხოვრობენ, ტირილი და კივილი ისმის, ზოგისა შვილი, ზოგის ქმარი, ზოგის მამა და ზოგის ნათესავი ან მოკლულია, ან დაჭრილი. დღესაც კიდევ საცა მოახელებენ სომეხს ან მის მზგავსს, იჭერენ და მიათრევენ, ჰკლავენ. წუხელის საღამოს შეიქნა ქუჩებში ყვირილი, რომ ახალი ამბავიაო, „გაზეთის დამატებაო, დამატებაო!“ ყვიროდნენ. ერთი საათის წინ კი ხმა იყო გავარდნილი, რომ სულთანმა ხელი მოაწერა სომხების საშველავათაო ქაღალდსაო და როცა ახალი ამბავის ხმა გაისმა ქუჩებში, ყველას ეგონა სომხები განათავისუფლა სულთანმაო. მაგრამ ყველა მოსტყუვდა, ახალი ამბავის შინაარსი შემდეგი აღმოჩნდა: „ჩვენ სულთანი მთელის მართლ-მორწმუნე მუსულმანთა, ვბრძანებთ ყოვლად მოწყალედ, რომ ხალხი დაწყნარდეს, არავინ გაბედოს ხმის ამოღება პოლიტიკის შესახებ, თუ ვინმეს დაჭერა მოუნდომან მთავრობის კაცებმა, მაშინვე დაემორჩილოს და თავისი ვინაობა უთხრას. სომხების აჯანყების გამო რაც ხალხი არის დაჭერილი, იმას სამართალი გასჯის და მტყუანი დაისჯებაო“. ამით დასრულდა მანიფესტი.

სხვათა შორის, სომხები წრეს გადავიდნენო, ამბობენ ყველანი. ეს მოქმედება სტამბოლში უსაფუძვლო იყოო. მართლაც, საკვირველია, სომხების საქმე! იქ, აჯანყდებიან, საცა არავითარი შევიწროება არა აქვთო, გაიძახიან აქაური ევროპიელები და ადგილობრივი მცხოვრებნი.

იმმა.

---

*) სტამბული ჰქვია მარტო ერთ ნაწილს და არა მთელს ქალაქს, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, მთელ სატახტო ქალაქს ჰქვიან კონსტანტინოპოლი, სტამბული-კი ერთ ევროპიულს ნაწილს. კონსტანტინოპოლი იყოფება ორ ნაწილად. ევროპის მხარეზედ არის ორი საგუბერნატორო ბეგ-ოღლი და სტამბული, დანარჩენს ადგილებს სოფლად უწოდებენ, მაგალითად აზიის ნაწილს ჰქვიან უსკუდარი, ყადიქოი, ხაიდარფაშა და სხვა; სოფლებად უწოდებენ ევროპიის ნაწილებსაც, როგორც ხას ქოი (ურიების სოფელი) ფერი ქო, შეიუკდერე და სხვა მრავალი მხოლოდ ყველას ერთად ჰქვიან კონსტანტინოპოლი (დერსაადეთი).

◆

შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოში მოიპოვება შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება. ამგვარი გაგრძელება დაჰბეჭდა ჟურნალს „ივერიაში“ მღვდელმა კარბელაშვილმა და შემდეგ მეც ვნახე იმგვარივე დამატება „ვეფხვის-ტყაოსნისა“ პარიჟში, ნაციონალურ წიგნთ-საცავში. ამ მოკლე ხანში ჩვენ დაახლოვებით გავიცანით ერთი საყურადღებო გაგრძელება რუსთაველის პოემისა, რომელიც აღმოჩნდა მოსკოვის გარეშე საქმეთა არხივში. ვისგან არის ხელნაწერი შეტანილი, ან შეწირული არხივისთვის, საქმეებიდგან არა სჩანს. ამ დამატების შედარებამ მღვ. კარბელაშვილის ნაპოვნ გაგრძელებასთან დაგვარწმუნა, რომ მოსკოვის ვარიანტი უფრო ვრცელია, ვიდრე აქამდის ცნობილნი რედაქციები ჩვენის პოემისა. რადგანაც შედეგი ამ ჩემის შედარებისა უკვე დაიბეჭდა მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოების შრომაში, ამიტომ მკითხველს შეუძლიან მიჰმართოს იმ ჩვენს წერილს. ახლა-კი ერთს გარემოებაზედ უნდა მივაქციოთ ყურადღება. როცა „ივერიაში“ დაბეჭდა გაგრძელება ვეფხვის-ტყაოსნისა“, ჟურნალის რედაქციამ შენიშნა, რომ მისის აზრით ,,გაგრძელება‘‘ შოთას კალამს არ აკუთვნისო. ასეთივე აზრი წარმოვსთქვით ჩვენც და ვეცადეთ დაგვემტკიცებინა იგი ჩვენს უკანასკნელს ზემოხსენებულ წერილში შემდეგ გულ-დადებით შესწავლისა დაბეჭდილი პოემის და მის დამატებისა. ამ ზაფხულს. ეს დასკვნა განმტკიცდა საქართველოში ერთი ხელნაწერის გასინჯვით, სადაც პირ-და-პირ მოხსენებულია, რომ შოთას გაგრძელება ვიღასაც დაუწერია:

„აწ გონიერნო სიტყვანი
მოსმენით შეიწყნარენით,
ძველი ნარჩომი ამბავი
ლექსად ვთქვენ გაიხარენით,
შოთას დაურჩა უთქმელად,
ჩვენ ესე დავაბრალენით

ვნახოთ შიგ ერევა იმათში თუ არა!! ამ ძახილზედ ერთი-ერთმანეთს ჰგლეჯენ ხელიდგან საცერს და ხან ერთი ავარდება ხეზედ და გაიხედავს შიგ, ხან მეორე.

— დედა, დედა, რა ამბავი აქვთ ეშმაკებსა! ბიჭო, შემსხდარან კატებზედ, მოიცა, მგონია ჩვენი დიდი კატა არის და რა ნაირად მიაქროლებენ, ღმერთო, ღმერთო!! შეხედე, შეხედე, მართლა იქ არა ყოფილა ი ჩვენებიანთ თათელაცა! აკი, მართლა კუდიანი ყოფილა, აი! ტყუილად არ უძახის ამ სახელს თავისი რძალი.

— ბიჭო, თქვენი სახლი არ დასარტყულეთ?—ეკითხება ერთი მეორეს.

— რა არის დასარტყვლა?

— რა არის და ჯვარი უნდა ჩასვა კარებ წინა, თორემა რაც ეშმაკები არიან და კუდიანები, სულ შენს სახლში შემოცვივდებიან. ჯვარს რო დაინახვენ, მაშინ-კი შეეშინდებათ და გაჰქრებიან.

— მართლა ბიჭო! მაშ წავიდეთ, ჩვენც გავაკეთოთ, თორემ, უი დედა, ეშმაკები რომ შემოგვიცვივდნენ... და გარბის ერთი, მისდევს მეორე, მესამე ჟივილ-ხივილით, სიცილითა და ყვირილით...

— იმხიარულეთ!

„ვიდრემდის ხართ ყრმანო თავისუფალნი,
არ გიცვნიათ სოფელი მომძღერალი!“

ამ საერთო მხიარულების დროს მხოლოდ ერთს სახლს არ ანათებს ქია-კოკონა. მართლა დიდი რამ მიზეზი უნდა ჰქონდეს იმის პატრონს, რომ ამ მხიარულს დღეს იმის კარზედ არა ხორციელი არ დაიარებოდეს! მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს სახლი ეკუთვნოდა სანო ფაცინაშვილს. საბრალო სანო და იმისი პატარა შვილები!

გარედ რომ ეს ჟრიამული ისმოდა, აქ ისინი მისხდომოდნენ თითქმის მომაკვდავს დარეჯანს და მწარედ სტიროდნენ. აგერ ორ კვირაზედ მეტია, რაც დარეჯანი ლოგინად ჩავარდა. იმის მკლავის ულონო მოძრაობაზედ მიმტკნარებულს ხმაზედ ადვილად შეატყობდა კაცი, რომ ულმობელს სიკვდილს უკვე დაესვა თავისი ბეჭედი. საბრალო დარეჯანს აღარც-კი დასცალდა მაისში სალოცავად წასვლა, უცებ მოსწყვიტა სენმა, ჩააგდო ლოგინად, რომ აღარ ამდგარიყო იქიდგან.

მკრთალად განათებულს ოთახში, ტახტის კუნჭულში, წევს ავადმყოფი გულ-აღმა და ხან ერთს შვილს გადმოჰხედავს ნაღვლიანის თვალით და ხან მეორეს. პირი საიქიოსკენა აქვს, მაგრამ გულზედ კიდევ ის დარდი აწევს ამ ჟამად, რომ იმისი შვილები ქია-კოკონაზედ არა ხტებიან და არ ახარებენ გულსა! საბრალო შვილებო, ქია-კოკონობას ვინ სჩივის, იქნება რა აღდგომა გაგითენდეთ, რომ არ დასცალდეს დედა-თქვენს იმ დღემდის?!. ამ ფიქრებით ძალა დაატანა თავის-თავს დარეჯანმა და სუსტის ხმით წამოიკვნესა:

— სანო, ადე გენაცვალე, ნუ მოუკლავ გულს ამ საცოდავებს, აუნთე ქია-კოკონა, მეც მიამება მაგათი ხმა. კარი გააღეთ და დავინახავ აქედგან, როგორ გადახტებიან, რა მიშავს მე...

ამ სიტყვებზედ ამოუჯდათ გული მამასაც და შვილებსაც და რომ არ ეწყვეინებინათ ავადმყოფისათვის, ადგნენ და ნელ-ნელა გალავდნენ გარეთა. ამაზედ ხელი მოუწყო და გაამხნევა ისინი ტასიამ, რომელიც თითქმის არც დღე და არც ღამე აღარა სტოვებდა დარეჯანს მარტო, რაც ლოგინად ჩავარდა.

გავიდა სანო გარეთ, ჩოხის კალთით თვალების წმენდით და წავიდა ვენახისკენ წალამის მოსატანად. მოიტანა, ააკოკოლა, წაუკიდა ცეცხლი შვილების გულისათვის, მაგრამ იმ საცოდავებსაც აღარა ჰქონდათ იმისი გული; ცეცხლის დანახვაზედ თითქო უფრო მოაწვათ დარდები პატარა გულზედ და გადახტომის მაგივრად შეჰქმნეს საშინელი ქვითინი...

— არ გვინდა, მამა, არა, წავიდეთ დედასთან, ის იქ ავად არის და ჩვენ ქია-კოკონაზედ უნდა ვიხტუნოთ? უთხრა მამას სინამ. მამასაც აღარ დაუშლია, ერთი მწარედ ამოიოხრა და შევიდნენ ისევ სახლში.

— მამა, დავწვებით ჩვენ, ის გვრჩევნიან. ოღონდ დედა მორჩეს და განა კვლავ ვერ ავანთებთ ქია კოკონასა.

— ჰო, შვილო, დედა გენაცვალოს, კარგად გავხდები, თქვენ დაიძინეთ კარგად, ველარ მოითმინა დარეჯანმა და დაამშვიდა სინა, თუმცა-კი ლაპარაკი ძალიან უჭირდა. გაიხადეს ბავშვებმა და ჩაწვნენ, დედის გვერდით მიგებულ ლოგინში. საცოდავებს ეგონათ, რომ რაც უფრო ახლო მიეკრობით დედას, მით უფრო მალე გახდება კარგად, არ მოგვიკვდებაო. პატარა ხანს უკან დარეჯანს თითქო მიეძინა. ტასიასა და სანოს არ გაუხდიათ ტანთ, ისე ჩაცმულები მიწვნენ იქვე ახლო ტახტზედა. დიდი იყო მწუხარება სანოს გულისა, მაგრამ ბუნებამ თავისი მოითხოვა, მუშაობით დაღლილი სხეული მისი მალე მოიცვა ღრმა ძილმა. ატყობდა სანო, რომ იმის საყვარელს ცოლს დიდი დღე აღარა ჰქონდა, მაგრამ იმას-კი ვერ წარმოიდგენდა, რომ აღდგომის გათენებას ველარ მიაღწევდა.

ოთხშაბათიდგან მოყოლებული თანდა-თან უფრო უარესად შეიქმნა დარეჯანი, წითელ პარასკევს დღეს აზიარეს კიდეც საბრალო. დაღამდა დიდი შაბათიც და დარეჯანის სული თითქო ქრისტეს აღსდგის წამს უცდიდა, რომ სხვა ბედნიერებთან ერთად წამდგარიყო უფლის წინაშე.

გაისმა სოფელში სიხარულის მასწავებელი ზარის რეკვა. ყველა ბედნიერი კაცის გული აღტაცებით ისმენს ამ ღვთიურს ხმას. მაგრამ დარეჯანის ოჯახისათვის-კი უფრო მეტი ცეცხლია ამ ხმის გაგონება. საბრალო სანო გრძნობს ძალიან კარგად, რომ თვითოეული ზარის რეკვა მაჩვენებელია მისთვის ძვირფასი არსების უკანასკნელის ჟამის მოახლოვებისა, გამოთხოვებისა! შემოჰხვევიან გარს სანო და ორიოდე მეზობელი ქალი გულ-აღმა გადასვენებულს სულთ-მობრძავს და ღრმა სიჩუმეში გაისმის მხოლოდ სანოს შეკავებული ქვითინი. დარეჯანი ვეღარას არჩევს, იმასაც-კი ვერა, რომ თავისი სულის-თქმა შვილები ჩამოაშორეს, სხვაგან გაუგზავნეს, თვალები მიუპყრია ჭერისათვის და ეხლა სააქაოს მოშორებული, საიქიოსაკენ იკვლევს გზასა. აი, ერთს ალაგას დააშტერა ბინდ-მორეული თვალები, თითქო ვიღაცა ნაცნობს მოჰკრა თვალიო; უახლოვდება თან-და-თან, უფრო უკეთ არჩევს ეხლა, ეს ის არის ის, დიაღ, დიაღ, სწორედ ის... ჩემი... დედა! ერთი შეჰკივლა დარეჯანმა, გააპყრო ხელები მაღლა. თითქო მიხუტება უნდოდა გულზედ რამდენი ხნის მკვდარი დედისა და... განუტევა ტანჯული სული.

შეიქნა თავ-ზარ დამცემი ჟრიამული. უბედური სანო ძლივს აგლიჯეს გულიდგან მიცვალებულს. თავში ცემით გაჰყვა ის გარეთ ამ წივილკივილზედ შემოცვივნულს სახლიკაცებს.

ქალები მიეპატრონენ დარეჯანს. პატარა ხანს უკან სულ ერთი საათის წინად ტანჯული არსება ეხლა სრულიად დამშვიდებული იდო ტახტზედ. აღარ არსებობს მისთვის აღარც მწუხარება, აღარც სიხარული!

გათენდა აღდგომა! დღე საერთო სიხარულისა, დღე შენდობისა! მაგრამ, სოფლის მცხოვრებლბის გული-კი სრული ბედნიერი ვერ არის; იციან, რომ ერთ ოჯახში სულ სხვა ცეცხლი ტრიალებს! კაცთ-სიბრალულს უერთდება ადამიანთა ის განუყრელი გრძნობა, რომ დღეს თუ ხვალ ჩვენც ის დღე მოგველისო და ეს ორი გრძნობა ერთად შეერთებული უკარგავს მათ ხალისს საერთო მხიარულებისას.

სამი დღის შემდეგ დარეჯანი უკვე მიაბარეს სამარეს საუკუნოდ. დარჩა მისი ოჯახი უპირველესს პატრონს მოკლებული და პატარა გოგოები ტყუილად და იყურებიან კარებისაკენ დედის მოლოდინში, ან ეხლა შემოვა, ან ეხლაო, როგორც მათ ნათლი ტასია ჰპირდებათ. საბრალო ბავშვებს არ ესმით ჯერ რა არის სიკვდილი...

ნინო ყიფიანისა.

1895 წ. 7 მარტს.

და ლექსი მიქენით ამისთვის,
ენანი მომახმარენით.

ამ ლექსს ვკითხულობთ იქ, სადაც დამატებაში მოთხრობილია „ტარიელის დასნეულების“ ამბავი. ამგვარად სამუდამოდ გადაწყდა საკითხი, ეკუთვნის თუ არა შოთას ცნობილი „გაგრძელება“.

ა. ხახანაშვილი.

◆◆

რუსეთის ცხოვრება.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა დაწვრილებითი ცნობანი შესახებ საქველ-მოქმედო საქმეებისა გუბერნიებში და შესახებ იმ საქველ-მოქმედო დაწესებულებათა, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებას ეკუთვნიან.

—

გამოვიდა სექტემბრის წიგნი „სასჯულო საქმეთა სამინისტროს ჟურნალი“. ამ წიგნში დაბეჭდილია პროექტი სისხლის სამართლის ახალის კანონმდებლობისა; ეს პროექტი მალე განხილულ იქნება სახელმწიფო საბჭოსაგან.

—

სახელმწიფო საბჭოს წარუდგინეს მამულების გამიჯვნის წესდების ახალი პროექტი.

◆◆

უცხოეთი

—

ოსმალეთი. უცხო სახელმწიფოთა საელჩოების წარმომადგენლები მივიდნენ გარეშე საქმეთა მინისტრთან იმ აზრით, რომ ურჩიონ მინისტრს ბოლო მოუღოს იმ უწესრიგობას, რომელიც ოსმალეთში ხდება. საელჩოთა წარმომადგენლებმა მინისტრს წინადადება მისცეს განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოს ოსმალეთში მცხოვრებ უცხოელებს. ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩმა განუცხადა მინისტრს მიიღოს საშუალება ამერიკის მისიონერების დასაცველად. ორმოცამდე სომეხი მოვიდა თერაპიაში, რათა სთხოვონ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიიღონ სომხების საქმეში მონაწილეობა.

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ამ ბოლო დროს კონსტანტინოპოლში მომხდარ უწესოების შესახებ სოლსბერის ორგანოში . დაიბეჭდა ერთი წერილი, რომელიც

შეუბრალებლად ჰკიცხავს სტამბოლელ სომეხთა საქციელს. ეს მათი საქციელი იქა მდის საზიზღარიაო, ამბობს „სტანდარდი“ რომ ამითი შეუძლიანთ სრულიად დაჰკარგონ განათლებულ ევროპის თანაგრძნობაო . გაზვიადებული სრულიადაც არ იქნება , თუ ვიტყვით, რომ დღეის შემდეგ სომხების განზრახვის შესრულება უფრო გაძნელდება და მისი ადრე და მალე განხორციელება უფრო საეჭვოა, ვიდრე წინადაო.

◆◆

თეატრის მატიანე.

—

გუშინ-წინ სახაზინო თეატრში ქბ. სოკოლოვსკაიას სადებიუტოდ საოპერო დასისაგან წარმოდგენილი იყო ვერდის ოპერა „აიდა“. ეს ოპერა მესამედ დაიდგა ამ სეზონში და ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა დაბეჭდილი მის წარმოდგენის შესახებ ანგარიში. ახალი არტისტი ქალი ქბ. სოკოლოვსკაია საზოგადოებამ ძლიერ კარგად მიიღო: მას მძლავრი ხმა აქვს და აიდას როლი კარგად შეასრულა. ოპერა «აიდა» ჩვეულებრივად მწყობრად და ლამაზად იქმნა წარმოდგენილი, კოტათი ანსამბლს ხელი შეუშალა ბ. სიკაჩინსკის (რადამეს) სუსტმა ხმამ. საზოგადოება წარმოდგენას ბლომად დაესწრო. ქბ. სოკოლოვსკაიას მიართვეს დიდი თაიგული.

◆◆

სასამართლოს მატიანე.

ველური საქციელი.

სასამართლოში გაირჩა ერთი საყურადღებო საქმე. საქმე შეეხებოდა ვაჭარს ლისენკოვს და მანდილოსანს მარიამ ივანოვისას. როგორც პროცესიდგან აღმოჩნდა, მანდილოსანი ივანოვისა შესულა თავის სახლის პატრონის ლისენკოვის დუქანში სავაჭროდ. ლისენკოვს იგი ჯერ სრულებით უსაფუძვლოდ გაულანძღა და მერე მუცელში წიხლი ჩაეკრა .წიხლი იმდენად ღონივრად ჩაეკრა ლისენკოვს, რომ ორსულს მანდილოსანს ივანოვისას მუცელი მოევნო. მომრიგებელმა მოსამართლემ, რომელიც ამ საქმეს არჩევდა, დამნაშავეს ორმოცი დღით დაპატიმრება მიუსაჯა.

თუმცა მომრიგებელ მსაჯულთა კრებაზედ ლისენკოვს და ივანოვისას წინადადება მისცეს შერიგებულიყვნენ, მაგრამ მანდილოსანი არ დასთანხმდა, რის შემდეგაც სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ მსაჯულის გარდაწყვეტილება.

ამ ამბავს მოგვითხრობს «იურიდიული გაზეთი» ; იგი თითონვე უწოდებს ამისთანა საქციელს „ველურ საქციელად“. სახელწოდებაში გაზეთი არა სცდება, ხოლო, საკვირველია, რატომ გაზეთი არას ამბობს სასამართლოსაგან გარდაწყვეტილის სასჯელის შესახებ , რომელიც მცირე და შეუფერებელია ასეთის ველურის საქციელისათვის, როგორიც ჩაუდენია ვაჭარს ლისენკოვს.

დიდად გულ-კეთილად მოჰქცევია მოსამართლე დამნაშავეს. ამისთანა „ველური საქციელი“ ნუ-თუ მხოლოდ ორმოცი დღით დაპატიმრების ღირსია?

◆◆

შემოწირულება.

კრწანისის ძეგლის ფონდისათვის მივიღეთ ქბ. ალექ. გვარამაძისაგან 3 მ. და 3 აბაზი, რომელიც შემოუწირავთ შემდეგ პირთ: ნად. დემჩინსკაიასა 3 აბაზი, მემეშ ეფენდი ზუამბაიას 1 მ., მეჰმედ ეფენდი ზუამბაიას—1 მ. და ა. გ-ს 1 მ.

ამ ფულისა დღემდის გვქონდა 14 მანეთი, ამაანად შესდგა 17 მ. და 90 კ.

◆◆

დეპეშა

(„ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტისაგან)

28 სექტემბერი.

ს. პეტერბურგი, 28 სექტემბერი. „ნოვოე ვრემია-“ს აუწყებენ დეპეშით კონსტანტინოპოლიდგან: ოსმალეთის სომხეთში მომხდარ აფეთქების შესახებ გავრცელებულის ხმისა და შეპყრობილთა დარჩობისა გამო ელჩებმა კოლლექტიური წინადადება წარუდგინეს პორტას. სახელმწიფოთ განზრახვა აქვთ სასახლის წინ ბოსფორში ზღვის დემონსტრაცია მოახდინონ.

„ნოვოსტი“-ს აუწყებენ დეპეშით: ინგლისის ელჩმა პატრიარხს თვისი თანაგრძნობითი მწუხარება განუცხადა სომეხთა უბედურების შესახებ. ქიამილ-ფაშა ურჩევს აასრულოს პორტამ, რაც მაისში სახელმწიფოებმა ითხოვეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურს თავს დავანებებო. საფრანგეთის ელჩი დეპეშით აუწყებს ჰანოტოს, რომ მოლაპარაკება იმედია კეთილად დაბოლოვდესო.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 სექტემბერი.

პეტერბურგი. სასჯულო საქმეთა მინისტრი ბალტის ზღვის ნაპირა გუბერნიებში წავიდა სასამართლო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

პარიზი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა სადილი გაუმართა დიდს მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს და პორტუგალიის მეფეს; სადილზედ იყვნენ აგრეთვე მინისტრები და თავ. ლობანოვ-როსტოვსკი.

ოფიციალური ცნობა მოვიდა , რომ ტანანარივა აღებულ იქმნა. მეორე დღესვე შეკრულ იქმნა ზავი, რომლით აღიარებულ იქმნა უფრო ვრცელი პროტექტორატი საფრანგეთისა მადაგასკარზედ, ვიდრე წინად იყო. დედოფალს ტახტი არ წაერთვა, პირველი მინისტრი-კი განაძევეს. საფრანგეთის ჯარის ერთი ნაწილი დარჩება მადაგასკარზედ, ხოლო დანარჩენი საფრანგეთს გაიგზავნება , როგორც-კი ამას შესაძლებელად სცნობს გენერალი დიუშენი. ექსპედიციაზედ ცოტა მეტი დაიხარჯა, ვიდრე გარდადებული იყო. ტანანარივის გუბერნატორად დაინიშნა გენერალი მეცინგერი. მთავრობამ მიულოცა საფრანგეთის მაგიერ გამარჯვება დიუშენსა და ჯარსა. დიუშენს ებოძა უმაღლესი ორდენი. მთავრობა მოსთხოვს პარლამენტს ნებას, რომ მადაგასკარის ლაშქრობის მონაწილე ჯარის-კაცთ საგანგებოდ მოჭრილი ნიშნები დაერიგოს.

კონსტანტინეპოლი. როდოსტოს 27 სექტემბერს უწესოება მომხდარა. სტამბულის ნაწილში—პერაში კიდევ არის აღელვება. სომეხთა მაღაზიები კიდევ დაკეტილია. ბრძანება გამოიცა, რომ დარდანელზედ ღამით გემებს არ მიეცეს გასვლის ნება.

ლონდონი. „სტანდარდი“ იუწყება, რომ მინისტრთა საბჭოს კონსტანტინოპოლში, რომელსაც მთელი ღამე ჰქონდა სხდომა, დაუდგენია—შეიწყნაროს უცხო სახელმწიფოების მიერ წარდგენილი პროექტი რეფორმებისა სომხეთისთვის ზოგიერთის ცვლილებით.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ზროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათმდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცლებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ნარათაშვილის
ლექსები და წერილები.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.

მამის ერთგული.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.

მტრედი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი
სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	8	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	›
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . .	„	70
მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე.		10
ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი	1	50
წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა	„	40
სამი ისტორიული ქრონიკა მისივე.	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . .	3	„
საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა	3	30
სამცხე მისივე	„	25
ქართლი მისივე . . .	„	25
მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . .	„	40
მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე.	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	›	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
Ш вып. . .	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . .	„	50
Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же	3	„
Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . .	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . .	›	60
Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . .		60
Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . .	3	„
Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова.	3	„
Матеріалы для русской исторіи, его-же. . .	3	
Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе	2	50
Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т.	7	05

Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Сентября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.